13/08/2024

MES 1 24 0000968313

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქალაქი თბილისი
სხდომის დაწყების დრო: 14:00 საათი
დასრულების დრო: 17:00 საათი
საბჭოს თავმჯდომარე: კახა შენგელია
საბჭოს მდივანი: დავით ლეშკაშელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის, გამოყენებით **2024 წლის 30 ივლისს**.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წე ვრები:

1. **კახა შენგელია -** შპს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ზურაბ ორჯონიკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **დავით ლეშკაშელი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პრფესორი;
5. **მიხეილ გურგენიძე** - შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში ასისტენტ-პროფესორი;
6. **ლევან მიდოდაშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
7. **სერგო ჭელიძე** - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს პროფესორი;
8. **ქრისტინა რზგოევა** - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
9. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
10. **კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. **ივანე ჯაგოდნიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
12. **ემილ ავდალიანი** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი;

13. **სალომე კუჭუხიძე** - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი;
14. **თამარ იოსელიანი** - შპს "ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში-ცენტრი) წარმომა დგენლები:

1. ***გვანცა ძიძიგური*** *- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.*
2. ***ქრისტინე აბულაძე*** *- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.*

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტი აიიუთი:
ვლადიმერ მკერვალიშვილი - რექტორი;
კახი ყურაშვილი - ვიცე რექტორი;
რუსუდან კვარაცხელია - ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
ნინო სეფაშვილი - სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი;
ქეთევან მდინარაძე - ბიზნესის სკოლის დეკანი;
ნინო კასრაძე - ჯანდაცვის სკოლის დეკანი;
მარიამ იზორია - კვლევითი ცენტრის უფროსი.

შპს ალტე უნივერსიტეტი:
რამაზ კუკულაძე - უნივერსიტეტის პრეზიდენტი;
ანი ამირანაშვილი - ვიცე პრეზიდენტი მარკეტინგისა და ბიზნესის განვითარების მიმართულებით;
თამარ მახარაძე - ვიცე პრეზიდენტი ფინანსებისა და საოპერაციო მიმართულებით;
ნინო ალავიძე - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
ნათია ნასრაშვილი - სასწავლო პროცესის მართვის და სტუდენტთა გამოცდილების დეპარტამენტის დირექტორი.

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი:

მანანა ცერცვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ზურაბ ცეცხლაძე- რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
თამარ სოზიაშვილი - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
თეა ჭეიშვილი - იურისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები(შემდგომში-ექსპე რტები):

ია ნაცვლიშვილი - I, III საკითხი;
ირინე ფხაკაძე -I საკითხი;
ნინო ალავიძე - I საკითხი;
ნინო ჯავახიშვილი - I საკითხი;

თამარ ვალიშვილი - II საკითხი;
ციცინო თურქაძე - II საკითხი;
ლევან ცაგარელი - II, III საკითხი;
დავით ტეფნაძე - II საკითხი;
ქეთევან კანკავა - III საკითხი;
შოთა სილაგაძე - III საკითხი.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ კახა შენგელიამ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ აიიუთის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ალტე უნივერსიტეტის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს სასწავლო უნივერსიტეტის გეომედის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ აიიუთის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ალტე უნივერსიტეტის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს სასწავლო უნივერსიტეტის გეომედის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

პირველი საკითხი: შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ აიიუთის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

- არა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
საერთაშორისო ექსპერტი, ციარან ჯეიმს ბურკი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ თვითშეფასება კარგად დაწერილი იყო, რომელმაც ბიძგი მისცა ექსპერტებს ემუშავათ დაწესებულების შეფასებაზე. მან აღნიშნა, რომ პირველივე წელს უნივერსიტეტი აპირებს ორი ათასი სტუდენტის მიღებას. დაწესებულებაში არსებული მატერიალური რესურსის გათვალისწინებით ასეთი განაცხადი ოპტიმისტურია, თუმცა განუხორციელებელი. უნივერსიტეტში წარმატებული ვიზიტის წარმართვას ხელი შეუწყო დაწესებულების მენეჯმენტმა. ვიზიტის ფარგლებში როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალის მხრიდან ძირითადად საუბარი იყო სამომავლო პერსპექტივაზე, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს არ შეეძლო შეფასების დროს შეემოწმებინა სამომავლო გეგმების შესაბამისობა რეალობასთან. აკადემიური პერსონალის ნაწილი არ თვლიდა რელევანტურად სტუდენტების მიღებას იმ რაოდენობით, რომელიც დაწესებულებას ჰქონდა გაცხადებული. გარდა ამისა, ისინი არც უნივერსიტეტის ბიუჯეტს მიიჩნევდნენ რეალისტურად. ასევე დაწესებულების პერსონალის მხრიდან შეინიშნებოდა საუნივერსიტეტო სისტემებთან დაკავშირებით ცნობიერების დაბალი დონე. მისი თქმით, არგუმენტირებული პოზიცია პროფესიონალურად შესრულებული იყო, თუმცა მას გავლენა არ მოუხდენია დასკვნის პროექტის ცვლილებაზე იმიტომ, რომ არგუმენტირებულ პოზიციაში მოცემული იყო შეფასების შემდგომი გარემოებების გათვალისწინება. მაგალითად, მზაობა არ იყო სტუდენტების რაოდენობის შეცვლასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ აიიუთის მიმართ გაცემული იყო სამოცდახუთი რეკომენდაცია. უნივერსიტეტის მისია, სტრატეგია და ოფიციალური დოკუმენტაცია ერთმანეთთან შეუსაბამო იყო იმ რეალურ მოცემულობას შორის, რომელიც ექსპერტთა ჯგუფს ადგილზე ვიზიტის დროს დახვდა. მისი თქმით, თანამედროვე კონცეპტები უნივერსიტეტის მისიაში, სტრატეგიასა და ოფიციალურ დოკუმენტაციაში არ იყო კარგად და გააზრებულად ჩამოყალიბებული. მაგალითად, მულტიკულტურალურ და დემოკრატიულ კლიმატის განვითარებაში არ იყო თანამედროვე კონცეპტები განმარტებული და გაანალიზებული. უნივერსიტეტის წამყვან პოზიციებზე უნდა მუშაობდეს მხოლოდ ერთი ადამიანი. მაგალითად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მუშაობდა რამდენიმე განსხვავებულ პოზიციაზე. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დაწესებულებამ აღნიშნულ პროცესში უნდა ჩართოს საერთაშორისო ექსპერტი, რომელიც დაეხმარება საერთაშორისო სტუდენტების რეკრუტირებასა და უნივერსიტეტის პოპულარიზაციაში. შენიშვნები იყო მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით, კერძოდ, ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები საკმარისად არ იყო შესაბამისი სტანდარტთან. ასევე რეაბილიტაციის მიმართულებით უნდა იყოს დამატებული ფიზიკური რესურსი. სწავლებისათვის ისეთი ოთახები არ უნდა იყოს გამოყენებული, რომლებსაც ბუნებრივი სინათლე არ ექნება. დაწესებულებაში უნდა იყოს აკადემიური პერსონალის მოტივაციისა და წახალისების მექანიზმი. როგორც კვლევის, ისე ხარისხის

უზრუნველყოფის მიმართულების განვითარებისათვის სრული დატვირთვით დასაქმებული უნდა იყოს პერსონალი. ასევე უნდა გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა და დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს პროფესიული განვითარების გეგმა, რომელიც გაზიარებული იქნება აკადემიური პერსონალისთვის. უნივერსიტეტმა კონცენტრირება უნდა გააკეთოს აკადემიური კონკურსების გამართვაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული პერსონალის პირდაპირი დასაქმება პერსონალური კონტაქტებით. მისი თქმით, უნივერსიტეტი უნდა მუშაობდეს იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ აკადემიურმა პერსონალმა იცოდეს ის წესები, რომლითაც მოხდება ადამიანების დანიშვნა მენეჯერულ პოზიციაზე.

დასკვნაში მერვე გვერდზე ცხრილის სახით მოცემულია თითოეული სტანდარტის კომპონენტის შეფასება. მიუხედავად სტანდარტების ნაწილობრივი თუ მეტწილი შეფასებებისა, ყველა მიმართულებით ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი იმისათვის, რომ მოხდეს ყველა სტანდარტთან შესაბამისობის უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ აიიუთის რექტორი, ვლადიმერ მკერვალიშვილი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სამწუხაროა თუ ექსპერტებს დარჩათ ისეთი განცდა, რომ ინტერნაციონალიზაციის იდეა მოიცავდა მხოლოდ უკრაინის უნივერსიტეტებიდან სტუდენტების „მოყვანას“. მისი თქმით, არცერთი დოკუმენტი არ არის აქცენტირებული მხოლოდ უკრაინაზე. ინტერნაციონალიზაციის კუთხით დაწესებულებას უამრავი აქტივობა აქვს დაგეგმილი, კერძოდ, სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლითი საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებისა და პროფესიული განვითარების ტრენინგების ჩატარება, უცხოელი პროფესორ - მასწავლებლების მოწვევა და ა.შ. დაწესებულებამ უკრაინის გარდა ექსპერტებს გაუზიარა მოლდოვის, პოლონეთისა და პორტუგალიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები. დამატებით ექსპერტებს წარედგინათ ჩინეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან იგივე შინაარსის მემორანდუმების გაფორმებაზე მიმდინარე მოლაპარაკებების დამადასტურებელი მტკიცებულებებიც. ამრიგად, უნივერსიტეტი პირველ რეკომენდაციას არ იზიარებს.

ვლადიმერ მკერვალიშვილის თქმით, დაწესებულებამ მეორე რეკომენდაცია გაიზიარა. უნივერსიტეტმა შეიმუშავა მისია, რომელიც თავისი შინაარსითა და სტრუქტურით გამორჩეულია, ვიდრე ეს აქამდე იყო. ვიცე-რექტორმა და ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი მოვალეობის შემსრულებელმა, კახი ყურაშვილმა მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება არ იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას იმიტომ, რომ ეროვნული კანონები უზრუნველყოფენ სტუდენტის ჩართულობის სტანდარტს საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა მიმართულებით. უნივერსიტეტის დებულების მიხედვით, მართვის ძირითადი ორგანოა „საუნივერსიტეტო საბჭო“, რომელშიც არჩევითი და დანიშვნითი პირები შედიან. აღნიშნულ საბჭოში სავალდებულო წესით მონაწილეობს სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი. გარდა სტუდენტისა, საუნივერსიტეტო საბჭოში გათვალისწინებულია კურსდამთავრებულის მონაწილეობა. ჯანდაცვისა და ბიზნესის ადმინისტრირების სკოლის კოლეგიალური მართვის ორგანოა „სკოლის საბჭო“. ამ უკანასკნელში აკადემიურ პერსონალთან ერთად გათვალისწინებულია სტუდენტთა მონაწილეობა. გარდა ამისა, სტუდენტთა მონაწილეობა სასწავლო პროცესის სწავლების ხარისხის სტუდენტური სერვისების გაუმჯობესების პროცესში უზრუნველყოფილია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტითა და მრავალრიცხოვანი გამოკითხვის ფორმებით. შესაბამისად, ამ პროცესში ჩართული იქნებიან როგორც ქართველი, ისე უცხო ქვეყნის სტუდენტები. ის, რომ დღეს საუნივერსიტეტო საბჭოსა და სკოლის საბჭოებში სტუდენტური წარმომადგენლობის ადგილები ვაკანტურია, განპირობებულია იმით, რომ უნივერსიტეტს ჯერ არ აქვს ავტორიზაცია გავლილი, კერძოდ, არ ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას და

არ ჰყავს სტუდენტები. ვლადიმერ მკერვალიშვილის თქმით, დაწესებულებამ გაიზიარა მეოთხე და მეხუთე რეკომენდაცია. კახი ყურაშვილმა მეექვსე რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ დასკვნის პროექტის საპასუხო წერილში დაკორექტირდა სტუდენტთა კონტინგენტის ოდენობა, კერძოდ, 2000 სტუდენტის ნაცვლად 1610 სტუდენტზე გაკეთდა განაცხადი, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნივერსიტეტი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის იმ მოსაზრებას, რომ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა და პროგნოზირება განხორციელდა არარეალისტურად. ექსპერტებს განემარტათ, რომ სტუდენტთა მოთხოვნილი კონტინგენტის განსაზღვრა მოხდა სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც უნივერსიტეტი სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას ითვალისწინებს უნივერსიტეტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ყველა ასპექტს: უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს, პრაქტიკის განხორციელების ობიექტებს, კლინიკებს (უძრავი და მოძრავი ქონება), ადამიანურ რესურსს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ა.შ. მისი თქმით, ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს ხდება აღნიშნული ასპექტების დადგენა ისეთ კომპონენტებთან, როგორებიცაა სასწავლო ფართის ოდენობა, მატერიალური ბაზა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კომპიუტერების და სხვა ტექნიკური საშუალებების რაოდენობა და კლინიკებისა და პრაქტიკის გამტარუნარიანობა. შესაბამისად, ამ მეთოდოლოგიის საფუძველზე მოხდა სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა იწყება სკოლიდან. სკოლა, რომელიც ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას, წარმოადგენს შიდა საუნივერსიტეტო მეთოდოლოგიური წესის შესაბამისად სტუდენტთა დაგეგმილ კონტინგენტს, რომელიც ხარისხის მმართველს გადაეცემა შესაფასებლად, ხოლო შეფასებას ამტკიცებს საუნივერსიტეტო საბჭო. გულდასაწყვეტია ის ფაქტი, რომ ვინმემ არ იცოდა ან გაიკვირვა სტუდენტთა კონტინგენტის აღნიშნული რაოდენობით დაგეგმვა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ კონტინგენტის განსაზღვრის პროცესში ჩართული იყო როგორც სკოლის, ისე უნივერსიტეტის საბჭო. შესაბამისად, საუნივერსიტეტო და სკოლის საბჭომ იცოდა როგორც სტუდენტთა კონტინგენტის რაოდენობა, ისე მისი რეალისტურობა.

ვლადიმერ მკერვალიშვილმა მეშვიდე და მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციებს. ავტორიზაციის პროცესის დასრულებისთანავე, ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსის პოზიციაზე დასაქმდება სხვა პირი და ვიცე-რექტორი აღარ შეითავსებს დეპარტამენტის უფროსის პოზიციას. ჯანდაცვის სკოლის დეკანმა, ნინო კასრაძემ მეცხრე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არ იზარებს მოცემულ რეკომენდაციას. მისი თქმით, დაწესებულებისთვის გასაგები იქნებოდა აღნიშნული რეკომენდაცია იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტები დაწერდნენ, რომ უნივერსიტეტში არ არის საკმარისი მატერიალური ტექნიკური რესურსი. ხაზი გაესვა მხოლოდ „ზედმეტი“ რესურსების არსებობას, რომელიც მედიცინის პროგრამას უფრო შეესაბამებოდა. უნივერსიტეტში არსებული ე.წ. „ზედმეტი“ რესურსი საჭიროა უწყვეტი განათლების პროგრამების განხორციელებისათვის. არცერთ სასწავლო ოთახში არ არის განთავსებული ისეთი ინვენტარი, რომელსაც არ მოიცავს საავტორიზაციოდ წარდგენილი პროგრამა - „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“.

ვლადიმერ მკერვალიშვილმა მეათე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმი, სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების ორგანიზების წესი, სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები, სტუდენტთა საგანმანათლებლო სერვისების პოლიტიკა, კარიერული მხარდაჭერის სერვისები, საგანმანათლებლო პროგრამის/კურიკულუმს მიღმა აქტივობების განხორციელება/შეფასების წესი, უნივერსიტეტის სტრუქტურაში მოქმედებს კარიერული და სტუდენტთა მხარდაჭერის ცენტრი, შემუშავებული და გამოქვეყნებულია სტუდენტური გზამკვლევი, ასევე ინფორმაცია აბიტურიენტებისათვის. როდესაც საუბარია სტუდენტთა დემოგრაფიის შესახებ, სტუდენტების არარსებობის შემთხვევაში რთულია განისაზღვროს დემოგრაფიის პარამეტრები. ამასთან, დაწესებულებას

გააზრებული აქვს, რომ უნივერსიტეტის საქმიანობა მიმართული უნდა იყოს მუდმივი განვითარებისაკენ, ინსტიტუციური ავტორიზაცია კი განმავითარებელი პროცესია, შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია გადატანილი უნდა ყოფილიყო რჩევებში. რუსუდან კვარაცხელიამ მეთერთმეტე რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტებთან ინტერვიუირებისას, მკაფიოდ გაჟღერდა და საავტორიზაციო განაცხადთან ერთად წარმოდგენილ დოკუმენტაციაშიც ნათლად დაფიქსირებულია, რომ უნივერსიტეტის მთავარ სტრატეგიული მიზნებს შორის ერთ-ერთია „მდგრადი განვითარების პრინციპებზე და მიზნებზე ორიენტირებულობა“. აღნიშნული სტრატეგიული მიზნის მიღწევა აღწერილია სამოქმედო გეგმებშიც. მისი თქმით, აღნიშნული სტრატეგიის მიზნის მიღწევა გათვალისწინებულია როგორც საგანმანათლებლო პროგრამების გზით, ისე უწყვეტი განათლებისა და კვლევითი ცენტრების მიერ დაგეგმილ პროექტებში. უნივერსიტეტის სივრცეში განთავსებულია “მწვანე” ყუთები, რაც იმას ნიშნავს, რომ დაწესებულებამ უკვე დაიწყო ამ მიმართულების მოსაწესრიგებლად შესაბამის კომპანიებთან თანამშრომლობა. უნივერსიტეტმა გადაწყვიტა, რომ შიდა მოხმარების ქაღალდი იყოს მეორადი გადამუშავების ქაღალდი. უნივერსიტეტში გამოყენებული ქაღალდი მაკულატურის სახით ჩაბარდება გადამამუშავებელ კომპანიებს, ხოლო გადამუშავებული ბლოკნოტები და სხვა ნივთები უნივერსიტეტის ბრენდირებით გადაეცემათ სტუდენტებს სხვადასხვა აქტივობის დროს. უნივერსიტეტში გამოყენებული პლასტმასის ბოთლები კი ჩაბარდება პლასტმასის გადამამუშავებელ კომპანიებს. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას მემორანდუმი აქვს გაფორმებული ისეთ კომპანიასთან, რომელიც მუშაობს სასოფლო სამეურნეო მიმართულებით. დაწესებულებაში არსებობს „ბიზნეს ლაბი“, სადაც მოხდება მწვანე იდეების შერჩევა სტუდენტებს შორის კონკურსების ჩატარების გზით. უნდა აღინიშნოს საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „ლოგისტიკა“, სადაც ერთ-ერთი სასწავლო კურსში „მწვანე ლოგისტიკა“ იკვეთება უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია და ორიენტირება მდგრადი განვითარების მიმართულებებზე. მეთორმეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება არ იზიარებს ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტში შემუშავებული მონიტორინგის მექანიზმი მნიშვნელოვან დახვეწას და გამარტივებას საჭიროებს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სასწავლო დეპარტამენტს შორის ფუნქციების გადაფარვას აქვს ადგილი. მონიტორინგის მექანიზმის მნიშვნელოვან დახვეწასა და გამარტივების საჭიროებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მექანიზმი, რომელიც წარმოდგენილია საავტორიზაციო განაცხადთან ერთად, განსაზღვრავს მონიტორინგის დონეებს (ინსტიტუციური დონე, სტრუქტურული ერთეულის დონე, დაინტერესებული მხარის დონე), მონიტორინგის სახეებსა (შესრულების მონიტორინგი, შესაბამისობის მონიტორინგი, დიაგნოსტიკური მონიტორინგი) და მონიტორინგის ძირითად მიმართულებებს, კერძოდ, უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება, სტრუქტურული ერთეულების მიერ საკუთარი საქმიანობის შეფასება და დროის მენეჯმენტი, სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების შეფასება, ფინანსური და ბიზნეს-პროცესების მონიტორინგი, კვლევითი საქმიანობის შეფასება, სერვისების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულების შესრულების მონიტორინგი. მან აღნიშნა, რომ მონიტორინგს ახორციელებს მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორი. ჯგუფის წევრები არიან: რექტორი, ვიცე-რექტორი, სკოლის წარმომადგენელი აკადემიური პერსონალი (სკოლის წარდგინებით ერთი პირი), სტუდენტები (სკოლის წარდგინებით თითოეული სკოლიდან ერთი სტუდენტი), გარე მოწვეული პირი (რომელიც შეიძლება იყოს სხვა უნივერსიტეტის, არასამთავრობო ორგანიზაციის, პროფესიული ასოციაციის და სხვა ორგანიზაციის წევრი). მისი თქმით, დოკუმენტში მარტივად და გრაფიკულადაა აღწერილი მონიტორინგის მთლიანი ციკლი (შეფასების სისტემა, მონიტორინგის და შეფასების შედეგები, შეფასების შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები, მართვის ეფექტურობის მონიტორინგისა

და შეფასების სისტემის განხორციელება და განვითარება), მოცემულია მართვის ეფექტიანობის ჩარჩო. უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მექანიზმის მე-5 ნაწილი უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების აღწერას ეძღვნება. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმები მოიცავს ყველა იმ ეტაპს, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების ჯეროვნად შეფასებას. შესრულების მონიტორინგის ეტაპი გულისხმობს უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით და შესაბამისი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკითხების კონტროლს წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მეშვეობით. მან აღნიშნა, რომ შეფასების ინდიკატორები შეიძლება იყოს როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივიც. იგი უნდა იყოს მარტივად შესაფასებელი, ნათლად ასახავდეს დამდგარ შედეგს. აღნიშნული მონიტორინგი ხორციელდება სრულად წელიწადში ერთხელ, ხოლო სამოქმედო გეგმის წლიური მონიტორინგის ანგარიში ასახავს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების განხორციელებით დამდგარ შედეგებსა და სამიზნე ნიშნულების შესრულების ფაქტებს, რითიც ფასდება წინა წლის სამოქმედო გეგმის შესრულება, შესრულების ხარისხი და შედეგები. მისი თქმით, მონიტორინგის ანგარიშში ასევე შესაძლებელია აისახოს ის გამოწვევები ან ძლიერი მხარეები, რომლებიც გამოვლინდება მთელი მონიტორინგის ციკლის განმავლობაში. დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს ის ინოვაციური მიდგომები, რომლებიც შეიძლება გამოავლინოს ამა თუ იმ სტრუქტურულმა ერთეულმა. ასევე შესაძლებელია სხვების მიერ გაზიარებულ იქნეს როგორც სამუშაოთა წარმოების კარგი პრაქტიკა. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის დროს კონკრეტულად ფასდება, შეასრულა თუ არა სტრუქტურულმა ერთეულმა მასზე დაკისრებული ვალდებულება, გამოიყენა თუ არა მან ის რესურსები (ფინანსური, ადამიანური, დროის) რაც იყო დაგეგმილი ამოცანის შესასრულებლად. მონიტორინგი და შეფასება არის პროცესი, რომლის საფუძველზე დადგინდება: სტრატეგიის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების ეფექტიანობა და გამოვლინდება კონკრეტული ხარვეზები და გამოწვევები მათი განხორციელების პროცესში. მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნა სტრატეგიული გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით განსახილველად წარედგინება საუნივერსიტეტო საბჭოს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ახდენენ შესაბამის რეაგირებას პარტნიორთა კრებასთან შეთანხმებით. მისი თქმით, მონიტორინგის შედეგების შეფასების საფუძველზე ხდება შემდეგი სახის გადაწყვეტილებების მიღება: მონიტორინგის შედეგების შესაბამისად ცვლილებების საჭიროებების განსაზღვრა სტრატეგიული განვითარების გეგმასა ან/და სამოქმედო გეგმაში, მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით სტრატეგიულ/სამოქმედო გეგმაში ცვლილებების განხორციელება, წამახალისებელი ღონისძიებების გატარება და დისციპლინური ღონისძიებების გატარება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სასწავლო დეპარტამენტს შორის ფუნქციების გადაფარვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ხარისხის მართვის დეპარტამენტი მიზნად ისახავს სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულად მუშაობას. ხარისხის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება ექვემდებარება მონიტორინგს. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სასწავლო დეპარტამენტს შორის ფუნქციების გადაფარვას ადგილი არ აქვს.

ვლადიმერ მკერვალიშვილმა მეცამეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მოცემულ რეკომენდაციას დაწესებულება არ იზიარებს იმიტომ, რომ უნივერსიტეტს აქვს ფუფუნება, რომ მიიღოს დამფუძნებლებისაგან იმისი გარანტია, რომ განახორციელონ იმდენი ინვესტიცია, რამდენიც დასახული მიზნის მისაღწევად იქნება საჭირო.

კახი ყურაშვილმა მეთოთხმეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ის ნაწილობრივ მოიცავდა მეთხუთმეტე რეკომენდაციასაც. მას აინტერესებდა რის საფუძველზე გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია მაშინ, როდესაც დაწესებულებამ ექსპერტებს გაუზიარა პროგრამის სტრუქტურა, პარტნიორთა კრებისა, რექტორის, ვიცე-რექტორისა და

საუნივერსიტეტო საბჭოს უფლებამოსილებები. უნივერსიტეტს აქვს ორ დონიანი სტრუქტურა. მეორე დონეზე დაწესებულებას აქვს ორი ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული, კერძოდ, სკოლა და სამი ცენტრი. ასევე არის ორი დეპარტამენტი, რვა საფინანსო სამსახური და ბიბლიოთეკა. სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტში კი ცალკეა გამოყოფილი კანცელარია, არქივი და სხვა სტრუქტურული ერთეულები. შესაბამისად, დაწესებულებას გააჩნია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის განკუთვნილი ყველა საჭირო სტრუქტურული ერთეული. მეთხუთმეტე და მეჩვიდმეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს მოცემულ რეკომენდაციებს. მეთხუთმეტე რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტში იგეგმება სტრუქტურული ცვლილება და უცხოელი სტუდენტებისთვის რეკრუტირებული განყოფილების ფორმირება. მეჩვიდმეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საუნივერსიტეტო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში (გარდა პარტნიორთა კრებისა) არჩევის შესაძლებლობის შესახებ აკადემიური პერსონალი არა მხოლოდ ინფორმირებულია (ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში ჩატარდა არა ერთი ტრენინგი და საინფორმაციო შეხვედრა, უნივერსიტეტის დებულება და თანამდებობის დაკავების პოლიტიკა გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე), არამედ მონაწილეობაც აქვთ მიღებული კოლეგიალური მართვის ორგანოში - საუნივერსიტეტო საბჭოში აკადემიური პერსონალის სკოლების კვოტების მიხედვით არჩევნებში, მართვის ორგანოების ფორმირების წესის (წარმოდგენილია საავტორიზაციო განაცხადთან ერთად) შესაბამისად. აღნიშნულის დამამტკიცებელი დოკუმენტაცია, კერძოდ, რექტორის ბრძანება არჩევნების დანიშვნის თაობაზე, ჯანდაცვისა და ბიზნესის სკოლის საბჭოების სხდომის ოქმები, საარჩევნო (ხმის დამთვლელი) კომისიების ოქმები და საარჩევნო ბიულეტენებიც კი, ექსპერტთა ვიზიტის პანელზე წარედგინა ცენტრს, მოთხოვნის შესაბამისად. შესაბამისად, უნივერსიტეტი არ იზიარებს დასკვნის პროექტში გამოთქმულ რეკომენდაციას.

კახი ყურაშვილმა განაცხადა, რომ კონტექსტურად ერთმანეთთან დაკავშირებული რეკომენდაციებია ოცდამეოთხე, ორმოცდამეოთხე და ორმოცდამეთვრამეტე რეკომენდაციები. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა დააკორექტირა სტუდენტთა მიღების რაოდენობა და 1610 სტუდენტზე დაიყვანა. სტუდენტთა კონტინგენტის რაოდენობის რეალისტურობა ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: ქონება, მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაციული პერსონალი. თავიდან დაწესებულებას 2000 სტუდენტი იმიტომ ჰქონდა განსაზღვრული, რომ უნივერსიტეტმა სასწავლო პროცესი წარმოიდგინა სამ ცვლაში განხორციელებული ფორმით. სასწავლო ფართის, მატერიალური რესურსების, კომპიუტერებისა და სხვა სასწავლო ინვენტარის არსებული ოდენობები გამრავლდა სამზე, დაითვალა კლინიკურ ბაზებში განსახორციელებელი სასწავლო კომპონენტები და თავად ამ კლინიკური ბაზების გამტარობა და სხვ. მაგალითად, სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა ნახევრად ხორციელდება კლინიკებში და არა უნივერსიტეტის შენობაში. მიღებული ოდენობები საკმარისი გამოდგა 2000 სტუდენტის მომსახურებისათვის.

გარდა ამისა, ყურადღება მიექცა დამატებით გარანტიებსაც, კერძოდ: ა) დამატებითი სასწავლო ფართის საჭიროების შემთხვევაში, იჯარის ხელშეკრულებით ფართის დამატების პროცესი არ საჭიროებს რთულ იურიდიულ პროცედურას, ბ) უნივერსიტეტს ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში დაგეგმილი აქვს ახალი კამპუსის მშენებლობა (რომლის პროექტიც ავტორიზაციის ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე, წარედგინა მათ და გამოეგზავნა ცენტრსაც), რომელიც გაცილებით მეტ სტუდენტზეა დაპროექტებული. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ 43 მოწვეული პერსონალია სამ საგანმანათლებლო პროგრამაზე გათვალისწინებული. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად ერთი მოწვეული პერსონალი 75 სტუდენტზეა გათვლილი. როდესაც ექსპერტები დაწესებულებაში იმყოფებოდნენ, მაშინ უნივერსიტეტს ჰყავდა 23 აკადემიური პერსონალი, რაც ამავე მეთოდოლოგიის შესაბამისად აკმაყოფილებდა არა 2000, არამედ 1610 სტუდენტის მომსახურებას. 2000 სტუდენტზე

გაკეთებული განაცხადი ეყრდნობოდა იმ ფაქტს, რომ დაწესებულებამ გამოცხადებული აკადემიური კონკურსის საფუძველზე აიყვანა 7 ახალი აკადემიური პერსონალი, რომელიც ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ განხორციელდა. ამჟამად აკადემიური პერსონალის რაოდენობა არის ოცდაათი. საექსპერტო ვიზიტის მომენტისათვის აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენდა ოცდასამი. შესაბამისად, ეს უკანასკნელი გახდა იმის საფუძველი, რომ ექსპერტთა ჯგუფს გაეცა სტუდენტთა მიღების რაოდენობის შემცირების შესახებ რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ დაწესებულებას მიმართა, რომ უნივერსიტეტის მისიასთან დაკავშირებით უფრო მეტი ინფორმაცია მოეწოდებინა ავტორიზაციის საბჭოსთვის. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ჯერ არ ფუნქციონირებს, თუმცა უკვე შემუშავებულია რეაბილიტაციის პროგრამა, რომელიც თავისი შინაარსით უნდა შეიცავდეს მედიცინის მიმართულების სასწავლო კურსებს. მას აინტერესებდა, ბიბლიოთეკაში მედიცინის სახელმძღვანელოების არსებობა რატომ ჩაითვალა რეკომენდაციად. შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ აიიუთის რექტორმა, ვლადიმერ მკერვალიშვილმა უნივერსიტეტის მისიასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მისიის შესრულებისას დაწესებულებამ შეისწავლა საერთაშორისოდ აღიარებული სხვადასხვა უნივერსიტეტის მისიები და იხელმძღვანელა იმ სტანდარტით, რომელიც ითვალისწინებდა მოკლე, მკაფიო და აღსაქმელი მისიის შემუშავებას.
ნინო კასრაძემ აღნიშნა, რომ რეაბილიტაციის პროგრამაში არის ის ბაზისური საგნები, რომლებიც მედიცინის პროგრამაზე ისწავლება. უწყვეტი განათლების პროგრამებში დაწესებულება აქტიურად იქნება ჩართული. შესაბამისად, ის მატერიალური ტექნიკური რესურსი, რომელიც გააჩნია უნივერსიტეტს, გამოყენებული იქნება აღნიშნული ბაზისური საგნების განსახორციელებლად. საბჭოს წევრმა, მამუკა ხუსკივაძემ კითხვით მიმართ დაწესებულებას. მისი თქმით, დაწესებულების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს მდგრადი განვითარების პრინციპებზე და მიზნებზე ორიენტირებულობა. ძირითადი აქცენტირება კეთდება ეკოლოგიურ მიზნებზე. მას აინტერესებდა, გარდა ეკოლოგიური მიზნებისა, აკეთებდა თუ არა უნივერსიტეტი სხვა შინაარსის მიზნებზეც ორიენტირებას. მამუკა ხუსკივაძემ განაცხადა, რომ პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგები არ აღიწერება აწმყო დროში ზმნებით. ასევე „მწვანე ლოგისტიკაში“ მოცემული იყო 27 სწავლის შედეგი. მას აინტერესებდა, რა იყო ყოველივე ამის მიზეზი. რუსუდან კვარაცხელიამ აღნიშნა, რომ პირველ ეტაპზე უნივერსიტეტი განიხილავს მწვანე მიმართულების ათვისებას, თუმცა მომავალში დაწესებულება ყველა მიზის ათვისებას აპირებს. ბიზნესის სკოლის დეკანმა, ქეთევან მდინარაძემ განაცხადა, რომ პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგების აწმყო დროში ზმნებით აღწერასთან დაკავშირებით ექსპერტებს შენიშვნები არ ჰქონიათ. სილაბუსების შედეგები პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობაშია. ექსპერტმა ირინე ფხაკაძემ აღნიშნა, რომ ლიტერატურისა და რესურსის ნაწილში რეკომენდაცია გაიცა იმიტომ, რომ დაწესებულება სანამ რეაბილიტაციის პროგრამას შეიმუშავებდა, მანამდე ის აპირებდა მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის შემუშავებას, რომლისთვისაც როგორც ლიტერატურის, ისე რესურსის ნაწილი მთლიანად მომზადებული ჰქონდა, თუმცა უნივერისტემა ბოლოს ისევ რეაბილიტაციის პროგრამაზე შეაჩერა ყურადღება. შესაბამისად, ამ პროგრამაში დარჩა მედიცინის პროგრამისათვის განკუთვნილი ლიტერატურა და ამიტომ გაიცა ეს რეკომენდაცია. მისიასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ერთია მისიის შემუშავება, ხოლო მეორეა მისი გაცნობიერება და ჩართულობა. ყველა საერთაშორისო ექსპერტი უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიულ საკითხებს უყურებს მწვავედ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, უნივერსიტეტი საქართველოს მოქალაქე, თუ უცხოელ სტუდენტებზე იყო გათვლილი.
ვლადიმერ მკერვალიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი გათვლილია როგორც ქართველ, ისე უცხოელ სტუდენტებზე. საბჭოს წევრმა, სალომე კუჭუხიძემ დაწესებულებას მიმართა, რომ

უკრაინის თემასთან დაკავშირებით, რომელზეც დასკვნაში იყო საუბარი, მეტი ინფორმაცია მოეწოდებინა ავტორიზაციის საბჭოსთვის. ვლადიმერ მკერვალიშვილმა განაცხადა, რომ რუსეთ-უკრაინის ომის გამო ბევრი სტატუსშეჩერებული უკრაინელი სტუდენტი იყო, რომლებსაც როგორც ყველა საგანმანათლებლო უმაღლესი დაწესებულება, ისე შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ აიიუთი სთავაზობდა მათ სწავლის გაგრძელებას, თუმცა მხოლოდ უკრაინელ სტუდენტებით არ შემოიფარგლებოდა დაწესებულება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:44 საათი.

დასრულების დრო: 16:05 საათი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ აიიუთისთვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1610-ით განსაზღვრის საკითხი. საბჭომ ცენტრთან იშუამდგომლა დაწესებულებაში 2 წელიწადში ავტორიზაციის ყველა სტანდარტთან მიმართებით მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მ ო მ ხ რ ე : 1 4

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 88 - ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ აიიუთს (ს/კ 400373902) მიენიჭა ავტორიზაცია (დაწესებულების სახე - უნივერსიტეტი) 6 წლის ვადით. ასევე, საბჭომ იშუამდგომლა ცენტრთან 2 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის იდეა არ მოიცავდეს მხოლოდ უკრაინის უნივერსიტეტებიდან სტუდენტების „მოყვანას“, (რაც, როგორც ჩანს, არის მთავარი მიზანი, რომლისთვისაც უნივერსიტეტი ამჟამად არსებობს).
2. ეკომენდებულია უნივერსიტეტის მისიაში აისახოს ადგილზე არსებული რეალობა, ძირითადი ცნებების მკაფიოდ განსაზღვრითა და შემუშავებით. კონკრეტულად, „მულტიკულტურული და დემოკრატიული კლიმატის“ ცნება საფუძვლიანად უნდა იყოს გააზრებული, ჩამოყალიბებული და ახსნილი, ასევე ის თუ რატომ არის ეს სასარგებლო და მართებული კრიტერიუმი და როგორ დაეხმარება ეს უნივერსიტეტს ეფექტურად ფუნქციონირებაში. ამის მხოლოდ სურვილის სახით გაცხადება, არ განმარტავს იმას, თუ რითია ეს სასარგებლო უნივერსიტეტისთვის.

3. ეკომენდებულია სტუდენტთა ჩართულობას მიეცეს ოფიციალური სახე და უზრუნველყოფილი იყოს მათი მოსაზრებების გათვალისწინება საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა ეტაპზე.
4. ეკომენდებულია მისიის განაცხადში აისახოს უნივერსიტეტის ძირითადი მიმართულებები, მათ შორის სწავლება, კვლევა და საზოგადოებაში ჩართულობა.
5. ეკომენდებულია დაინტერესებულ მხარეებთან (განსაკუთრებით დამსაქმებლებთან) უფრო ღრმა დისკუსიის გამართვა და იმის დადგენა, თუ სად და როგორ შეძლებენ სტუდენტები სამუშაო ადგილის პოვნას, და უნივერსიტეტის მისია ამ მიმართულებით ხელახლა უნდა იყოს გააზრებული.
6. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სტრატეგიული განვითარების გეგმა შეუსაბამოს რეალურ მატერიალურ რესურსებსა და სტუდენტთა ჩარიცხვის რეალისტურ პროგნოზს. ანალოგიურად, პერსონალმა უნდა იცოდეს თუ რეალურად რა უწერია უნივერსიტეტს ოფიციალურ დოკუმენტაციაში, რადგან როგორც აღმოჩნდა ეს ასე არ არის. კერძოდ, თუ უნივერსიტეტის ხისტი გეგმაა, რომ ფუნქციონირება დაიწყოს 2000 სტუდენტით, ამაზე პერსონალის პირველი რეაქცია ის არ უნდა იყოს, რომ ეს ძალიან არარეალურია.
7. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს არ ეკავოს რამდენიმე როლი, როგორიცაა - პრორექტორი, მონაცემთა დაცვის ოფიცერი, მონაცემთა დაცვის გარე კომპანიის თავმჯდომარე და სხვა უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალი.
8. ბრენდის აღიარებისთვის (ინფორმაციის გავრცელებისა და უცხოელი სტუდენტების დასაკომპლექტებლად), შესაბამისი საერთაშორისო სპეციალისტი უნდა დაიქირავოთ.
9. ეკომენდებულია რესურსები არ იყოს განკუთვნილი მედიცინის პროგრამისთვის, რომლის განხორციელების (ოფიციალური) გეგმა არ არსებობს. რესურსები უფრო მეტად უნდა დაეთმოს რეალურად დაგეგმილ საგანმანათლებლო პროგრამებს. სასრული რესურსების ვითარებაში აუცილებელია, რომ ეს უკანასკნელი არ დაიხარჯოს.
10. სტუდენტზე ორიენტირებული სერვისების სათანადოდ გააზრების მცირე მტკიცებულებაა წარმოდგენილი, თუკი გავითვალისწინებთ სტუდენტების შესაძლო დემოგრაფიას (კონკრეტულად ეს ეხება რეკრუტირებაში უნივერსიტეტის მცდელობებს ისეთი ადგილებიდან, როგორიცაა უკრაინა და ინდოეთი) საჭიროა ამაზე რეაგირება.
11. მდგრად განვითარებაზე ფოკუსირების იდეა დასაფასებელია, მაგრამ ძალიან ბუნდოვანია. მწვანე სექტორის დამსაქმებლებთან გასაუბრებისას ამ საკითხს ნათელი არ მოჰფენია, ხოლო უნივერსიტეტის ვებგვერდზეც მცირე ინფორმაციაა მოცემული. ამასთან დაკავშირებით უფრო კონკრეტული გეგმის წარდგენაა საჭირო.
12. უნივერსიტეტში მონიტორინგის მექანიზმები მნიშვნელოვნად უნდა დაიხვეწოს და გამარტივდეს, ასევე უნდა მოგვარდეს საქმიანობათა დუბლირება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტს შორის.
13. უნივერსიტეტში არსებული მატერიალური რესურსები არ აკმაყოფილებს განზრახული სტრატეგიის განხორციელებისთვის საჭირო სტანდარტებს.
14. რეკომენდებულია განახლდეს უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა, რათა იგი შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის წესდებას და უნივერსიტეტმა შეძლოს საქმიანობის ეფექტიანი მართვა.
15. ეკომენდებულია ორგანიზაციულ სტრუქტურასა და საშტატო განრიგში უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს სტრუქტურული ერთეულები/პერსონალი, რომელიც ორიენტირებული იქნება კონკრეტულად უცხოელი სტუდენტების საჭიროებებზე/მომსახურებებზე, მულტიკულტურულ გარემოში.
16. იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტი გეგმავს 2000 სტუდენტის მიღებას და სასწავლო პროცესის დღეში სამ ცვლად ჩატარებას და რამდენადაც ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან ამჟამად გაფორმებული ყველა კონტრაქტი ადგენს კვირაში 35

სამუშაო საათს (16:00 საათამდე), რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გაზარდოს ორგანიზაციულ სტრუქტურაში კადრების რაოდენობა, რათა სტრუქტურულმა ერთეულებმა საკუთარი ფუნქციები ეფექტურად და კოორდინირებულად შეასრულონ.

17. ეკოემდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის ინფორმირება მმართველ ორგანოებში არჩევის/დანიშვნის შესაძლებლობებისა და პროცედურების შესახებ.
18. ეკომენდებულია ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა ითვალისწინებდეს სოციალური და პოლიტიკური არასტაბილურობის/დაძაბულობის რისკებს, ასევე დაწესებულების ფინანსური სიცოცხლისუნარიანობის რისკებს.
19. ეკომენდებულია განახლდეს სასწავლო პროცესის დებულებები და სტრუქტურული ერთეულების წესდებები, რათა მოიცავდეს სამაგისტრო პროგრამას ბიზნესის ადმინისტრირებაში (ლოგისტიკა).
20. უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია, შესაბამის გეგმებსა და რეგულაციებში სათანადო სტრატეგიების გათვალისწინებით.
21. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომპანიის წარმომადგენელი, რომელიც ემსახურება უნივერსიტეტს, არ იყოს ჩართული უნივერსიტეტის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში/მმართველ სტრუქტურებში (საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის მიხედვით მონაცემთა დაცვის კომპანია დამოუკიდებელი უნდა იყოს).
22. უნივერსიტეტმა უნდა გამოყოს შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის, რათა უზრუნველყოს დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების უწყვეტი შეფასება და განვითარება.
23. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ეფექტურად უნდა გამოიყენოს ადეკვატური მეთოდოლოგია სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვისთვის და მის საფუძველზე შეაფასოს უნივერსიტეტის მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსები.
24. უნივერსიტეტში მონიტორინგის აპარატი ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული საკვანძო სფეროების სტრატეგიის განხორციელების შესაფასებლად.
25. უნდა აღმოიფხვრას დუბლირება სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის და ამ უკანასკნელს უნდა ჰყავდეს მუდმივი ხელმძღვანელი.
26. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიები.
27. უნივერსიტეტმა პერსონალისთვის უნდა ჩაატაროს ტრენინგი აკადემიური კეთილსინდისიერების ასევე პლაგიატის პრევენციისა და შესაბამისი ინსტრუმენტების/პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ.
28. უნივერსიტეტმა უნდა დაიცვას პლაგიატის შესახებ დამტკიცებული შინაგანაწესი.
29. რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცედურების დაცვა „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესების“ მიხედვით.
30. რეკომენდებულია, დაზუსტდეს საბაკალავრო ნაშრომის შეფასება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად.
31. რეკომენდებულია, პერსონალის წახალისების მექანიზმების გამრავალფეროვნება.
32. პროგრამის მდგრადობის შესაძლებლობის გაზრდის მიზნით რეკომენდებულია აფილირების პირობები გახდეს ორმხრივად მიმზიდველი.
33. რეკომენდებულია, გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა.
34. რეკომენდებულია, სკოლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით დეკანები და პროგრამების ხელმძღვანელები იყვნენ აფილირებული.

35. რეკომენდებულია, მკაფიო პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება და პერსონალთან გაზიარება.
36. რეკომენდებულია, ჩატარდეს პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებები.
37. რეკომენდებულია, ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული პერსონალის ინფორმირებულობის გაზრდა მათი შეფასების კრიტერიუმებისა და წახალისების მექანიზმების შესახებ.
38. რეკომენდებულია, ჩაატაროთ კონკურსები და დაასაქმოთ პერსონალი კონკურსების საფუძველზე და არა პირდაპირი დანიშვნის გზით.
39. რეკომენდებულია, ადმინისტრაციულ / დამხმარე თანამდებობებზე პერსონალის დასაქმება უნივერსიტეტის შეუფერხებლად მუშაობის აუცილებლობისა და სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით (საგამოცდო ცენტრის პერსონალი, პერსონალი, რომელიც აფასებს და მხარს უჭერს სწავლა - სწავლებისა და შეფასების მეთოდების განვითარებას, პერსონალი რომელიც პასუხისმგებელია კლინიკური კურსების უზრუნველყოფაზე, ფსიქოლოგი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, სოციოლოგი კვლევის ჩატარების გამოცდილებით და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალი, საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის პერსონალი, პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების ინტეგრაციას და საუნივერსიტეტო ცხოვრებას საქართველოში).
40. რეკომენდებულია, თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტმა დაასაქმოს საერთაშორისო ლექტორები თავისი მისიისა და ხედვის განხორციელების მიზნით.
41. რეკომენდებულია, უსაფრთხოების პერსონალმა იცოდეს ინგლისური ენა, დაინიშნოს დამატებითი თანამშრომელი, რომელმაც იცის ინგლისური ენა.
42. რეკომენდებულია ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის გაზრდა, მოსალოდნელი სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით (2000).
43. რეკომენდებულია ლექტორის სამუშაო დატვირთვის განაწილება დაეყრდნოს იმ ინფორმაციას, რომელიც გამოთხოვილია იმ უნივერსიტეტებიდან, სადაც ისინი მუშაობენ, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამუშაო დატვირთვის სწორი განაწილება და პროგრამების მდგრადი ფუნქციონირება.
44. რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა სტუდენტების მოსალოდნელი რაოდენობის გათვალისწინებით (2000).
45. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების საფასურის საჯაროობა დაინტერესებული პირებისათვის, მათ შორის, უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
46. რეკომენდებულია, დაწესებულებამ მიუთითოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამები ჯერ არ არის აკრედიტებული, მათ შორის, უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
47. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ ინგლისური ენის ტესტი შეესაბამებოდეს B1 დონის ინგლისური ენის ცოდნის დონის დასადგენ ტესტს.
48. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააფართოოს საერთაშორისო პარტნიორობა და დამსაქმებელთა ქსელები, სტუდენტური გამოცდილების გამდიდრებისა და მათი განვითარების ხელშეწყობის მიზნით.
49. რეკომენდებულია, კვლევითი პროექტების შესახებ ვებგვერდზე განთავსდეს დეტალური ინფორმაცია.
50. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სათანადოდ შეიმუშაოს კვლევითი პროექტები, რომლებშიც თავად არის ჩართული, ასევე ჩართულობის დონე, ბიუჯეტი და ამ პროექტების შემდგომი პერსპექტივები.
51. უნივერსიტეტში არსებობს კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მინიმალური მტკიცებულება. აღნიშნული საკითხი უნდა იყოს მოგვარებული.
52. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი იყო ინფორმაცია კვლევით პროექტებთან დაკავშირებით ეკონომიკურ აგენტებთან ურთიერთობის

მნიშვნელოვანი კვლევითი პოტენციალის შესახებ, აღნიშნული არ დადასტურდა დამსაქმებლებთან ინტერვიუების დროს, მათ მიერ არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულება იმის შესახებ, თუ როგორ განხორციელდებოდა შესაბამისი აქტივობები. აღნიშნული საკითხი უნდა გამოსწორდეს და დაზუსტდეს არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი სინერგიის პოტენციალი. კონკრეტული პროექტები, დაფინანსების გარანტიები, ხარჯთაღრიცხვა და ა.შ. უნდა იყოს უზრუნველყოფილი და გაანგარიშებული და სათანადოდ უნდა იყოს განმარტებული ეკონომიკური აგენტების ჩართულობა.

53. მიუხედავად იმისა, რომ ცხადია პერსონალის კვლევითი საქმიანობის გარკვეული მხარდაჭერა, რეკომენდებულია, უკეთესი და მკაფიოდ განსაზღვრული წახალისების უზრუნველყოფა.
54. რეკომენდებულია, სტუდენტების კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის უზრუნველყოფა სათანადო წამახალისებელი ღონისძიებებით.
55. რეკომენდებულია, უნივერსიტეტს ჰქონდეს უფრო ფართო ვალდებულება კვლევით პროექტებთან დაკავშირებით საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად.
56. კვლევითი საქმიანობის ძლიერი და ეფექტური შეფასებისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია კვლევით ცენტრში და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში პერსონალი დასაქმებული იყოს სრულ განაკვეთზე.
57. რეკომენდებულია, შეიქმნას წახალისებისა და შემაფერხებელი ფაქტორის კარგი სისტემა, აკადემიური პროდუქტის სრულყოფილების წახალისების მიზნით.
58. ფაკულტეტის სივრცე არასაკმარისია სასურველი სტუდენტების რაოდენობისთვის. შესაბამისად, უნდა გაიზარდოს სივრცე ან შემცირდეს სტუდენტების რიცხვი.
59. აუდიტორიები ბუნებრივი განათების გარეშე არ უნდა იყოს გამოყენებული.
60. უნდა გაიზარდოს კლინიკურ ბაზებთან ხელშეკრულებების რაოდენობა, იმისათვის, რომ ადეკვატურად მოერგოს სტუდენტების მოსალოდნელ რაოდენობას.
61. რეკომენდებულია, რეაბილიტაციისთვის უკეთესი ფიზიკური მასალების უზრუნველყოფა.
62. რეკომენდებულია, მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომი იყოს უნივერსიტეტის გარეთაც ან ვებ პორტალის მეშვეობით.
63. უნივერსიტეტის ვებგვერდი უნდა გაუმჯობესდეს, მათ შორის, გარე გამოყენებისთვის ვებპორტალის დამატებით.
64. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის მდგრადი ფუნქციონირების მიზნით დაემატოს დაფინანსების ალტერნატიული წყაროები.
65. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განახორციელოს მკაფიო გამოთვლები, იმისათვის, რომ უზრუნველყოს გამჭვირვალობა და სასურველ მიზნებსა და რეალურ რესურსებს შორის მკაფიო თანხვედრა.

რჩევები:

1. იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტი საკუთარ თავს საერთაშორისოს უწოდებს, მიზანშეწონილია საერთაშორისო სფეროს ექსპერტების მიერ რეცენზირება.
2. სასურველია, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამაში დამატებითი უცხო ენების შეთავაზება.
3. სასურველია, სტუდენტებისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერის სერვისების შეთავაზება.

მეორე საკითხი: შპს ალტე უნივერსიტეტის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

- არა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საკითხის ზეპირი მოსმენა:
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტი თამარ ვალიშვილი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ 2024 წლის 11-12 აპრილს განახორციელდა ვიზიტი შპს ალტე უნივერსიტეტში. მისი თქმით, ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა – შპს ალტე უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგი და მე-2, მე-3 და მე-5 სტანდარტის შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტის პირველ დღეს განხორციელდა გეგმიური შეხვედრები დაწესებულების ყველა რგოლის წარმომადგენელთან, კერძოდ, ადმინისტრაციასთან, ხარისხის მართვის ხელმძღვანელთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან, უცხოელ და ქართველ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ა.შ. ვიზიტის მეორე დღეს განხორციელდა ვიზიტი 2 კლინიკურ ბაზაზე (ივ. ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი, პიერ ფოშარის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკა), ჩატარდა შეხვედრები სტუდენტური სერვისების და კარიერული განვითარების სამსახურის წარმომადგენლებთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან. მისი თქმით, ორი რეკომენდაცია გაიცა დაწესებულების მიმართ, რომელიც ეხებოდა 2.2 სტანდარტს. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა მიღების წინაპირობის ხარვეზის გასწორებას კომპიუტერული მეცნიერებების საბაკალავრო და მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამების კურიკულუმებში და ინფორმაციის შესაბამისად ასახვას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გამოყენებით მედიცინის პროგრამის კლინიკური ბაზებისა და კლინიკური კომპონენტების სიღრმისეული კვლევას, შეფასებასა და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების გატარებას. მან აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია ატარებს ტექნიკურ ხასიათს. ექსპერტთა მიერ გამოთხოვილ დოკუმენტებში მოცემული იყო საგანმანათლებლო პროგრამების პაკეტები. აღნიშნულ პაკეტებში მოცემული იყო ორი ინგლისურენოვანი პროგრამა, კერძოდ, კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო და მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამა. ამ პროგრამების წინაპირობებში მითითებული იყო B2 დონეზე ინგლისური ენის ცოდნა. პროგრამის წინაპირობებთან დაკავშირებით ინფორმაცია განთავსებული იყო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეც, თუმცა მასში არ იყო დაკონკრეტებული

თუ რა დონის ინგლისურ ენას ითხოვდა დაწესებულება. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს რეკომენდაცია გაიცა მას შემდეგ, როდესაც მოხდა კლინიკური ბაზების დათვალიერება. მისი თქმით, კლინიკური ბაზები მზად არის და სრულყოფილია, თუმცა სასწავლო კომპონენტის განხორციელებისთვის საჭიროა უკეთესად კლინიკურ ბაზებზე არსებული სასწავლო ოთახების აღჭურვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელი, ნინო ალავიძე მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ გაცემული რეკომენდაციები იყო დაწესებულების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზი უკვე გასწორებულია, კერძოდ, პროგრამის წინაპირობებთან დაკავშირებით განახლებული ინფორმაცია მოცემულია დაწესებულების ვებ-გვერდზე. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ კლინიკური კომპონენტის შეფასების ნაწილი ცალკე პოლიტიკის დოკუმენტად დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული, იმიტომ, რომ უნივერსიტეტი ხელმძღვანელობდა მედიცინის უმაღლესი დარგობრივი მახასიათებლით, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით და სტუდენტთა კონტინგენტის გათვლის მეთოდოლოგიით. დაწესებულებამ უკვე შეიმუშავა კლინიკური საფეხურის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ექვსგვერდიანი დოკუმენტი, რომელიც ჯერ არ არის დამტკიცებული იმიტომ, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში, კერძოდ, კლინიკური საფეხურის ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილში დაწესებულებამ აიყვანა პროგრამების მენეჯერი. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სასწავლო აუდიტორიებისათვის პროექტების შეძენა უკვე განხორციელდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, კლინიკურ გარემოში სწავლებას დარგობრივი მახასიათებელი დეტალურად აწესრიგებს. შპს ალტე უნივერსიტეტის წარმომადგენელი არის დარგობრივი საბჭოს წევრი. ერთი კვრის წინ დამტკიცდა კლინიკების მონიტორინგის სისტემა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ კლინიკური სწავლება არ არის მხოლოდ „OSCE“. კლინიკური სწავლება რომ შეფასდეს, აუცილებელია სტუდენტს მიეწოდოს ხარისხიანი განათლება ამ მიმართულებით. მას აინტერესებდა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რას ფიქრობდა უნივერსიტეტი. დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ალავიძემ განაცხადა, რომ ის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც დაწესებულებას გააჩნია, ფარავს ზოგადსაუნივერსიტეტო პროცედურას. მედიცინის დარგის სპეციფიკურობიდან გამომდინარე დაწესებულებამ გადაწყვიტა, რომ დეტალური შესწავლით მიუდგეს ხარისხიან განათლებას, რომელიც კლინიკებში ხორციელდება. ეს კეთდება იმისათვის, რომ სტუდენტს ჰქონდეს რეალურ კლინიკურ სივრცეში ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება
დაწყების დრო: 16:20
დასრულების დრო: 16:30
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ალტე უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მ ო მ ხ რ ე : 1 4
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდა შპს ალტე უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

მესამე საკითხი: შპს სასწავლო უნივერსიტეტის გეომედის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

- არა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საკითხის ზეპირი მოსმენა:
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტი ლევან ცაგარელი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ავტორიზაციის მეორე, მესამე და მეხუთე სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. 2024 წლის 15 და 16 აპრილს განხორციელდა ორდღიანი ვიზიტი სასწავლო დაწესებულებაში. ვიზიტი გაიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში. სამუშაო ენა ინტერვიუების დროს ძირითადად იყო ქართული, ინგლისურ ენაზე ინტერვიუ წარიმართა მხოლოდ უცხოელ სტუდენტებთან. მან აღნიშნა, რომ არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში გამოიკვეთა რამდენიმე გამოსასწორებელი სფერო, კერძოდ, აკადემიური პერსონალის ჩართულობა წარმომადგენლობით ორგანოსა და პროგრამების შემუშავების პროცესში. ასევე

დაწესებულებაში არ არსებობდა ისეთი სტუდენტი, რომელსაც გაცვლით პროგრამებში ექნებოდა მონაწილეობა მიღებული. გარდა ამისა, ამის შესახებ ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი იყო უნივერსიტეტში. მაგალითად, სტუდენტები არ ფლობდნენ ანტიპლაგიატის პროგრამისა და აპელაციის პროცედურის შესახებ ინფორმაციას. ეს შეიძლება გამოეწვია აღნიშნული საკითხების შესახებ ინფორმაციის არ არსებობას უნივერსიტეტის ვებგვერდზე ან არ ჩატარებიათ სათანადო კონსულტაციები. დაწესებულებას არ ჰყავს ცალკე ადმინისტრაციული ფიგურა, რომელიც უცხოელ სტუდენტებს გაუწევდა კოორდინაციას. შესაბამისად, როდესაც უნივერსიტეტი ძირითადად ორიენტირებულია უცხოელი სტუდენტების მიღებაზე, ასეთი ფიგურა უნდა არსებობდეს. სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები რამდენიმე პროგრამასა და სილაბუსში კარგად არის აღწერილი, თუმცა საეჭვოდ გამოიყურება მათი პრაქტიკაში განხორციელება. შესაბამისად, ამ მიმართულებით დაწესებულებამ უნდა იმუშაოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი, მანანა ცერცვაძე მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებაში არსებობს ფაკულტეტის საბჭოები, რომლებიც შედგება აკადემიური აფილირებული პერსონალისგან და მონაწილეობას იღებენ პროგრამების შემუშავებასა და განვითარებაში. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია უნივერსიტეტისათვის გაუგებარია. მეორე რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ 2023 წელს ორი მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა თურქეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტში. გარდა ამისა, 2024 წლის მაისში გამოცხადებული იქნება კონკურსები რუმინეთის გრეგორი პოპას სახელობის მედიცინის და ფარმაციის უნივერსიტეტში „Erasmus+“ მიერ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. ასევე პოლონეთის შედლცეს უნივერსიტეტში „Erasmus+“ მიერ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. ინფორმაცია კონკურსების შესახებ საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ამ მიმართულებით დაწესებულებამ დიდი სამუშაოები გასწია. შესაბამისად, ექსპერტთა მიერ იმის შესახებ საუბარი, რომ გაცვლითი პროგრამებით არავინ არ სარგებლობს, არარელევანტურია. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც ყოველი სტრუქტურული ერთეული ფასდება სემესტრში ერთხელ სამოქმედო გეგმის მიხედვით, ხოლო წელიწადში ერთხელ სტრატეგიული გეგმის შესრულებული ამოცანების მიხედვით. შესრულებული ამოცანებით ხდება ადმინისტრაციის პერსონალის შეფასება. გარდა ამისა, ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება ჩაშენებულია კითხვარებში, რომლებიც მოცემულია ელექტრონული მართვის სისტემაში. შესაბამისად, როგორც სტუდენტი, ისე აკადემიური პერსონალი აფასებს ადმინისტრაციის საქმიანობას. მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტუდენტთა და პერსონალის კონტინგენტი დაგეგმვის მექანიზმების და მეთოდოლოგიის შესაბამისად განსაზღვრულია ერთი აკადემიური პერსონალი არაუმეტეს 25 სტუდენტზე. ექსპერტთა დასკვნაში დადასტურებულია, რომ ამჟამად ერთ აკადემიურ პერსონალზე მოდის დაახლოებით 10 სტუდენტი. შესაბამისად, აკადემიური პერსონალის რაოდენობა გაზრდას არ საჭიროებს. მეხუთე რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ წლების მანძილზე დაწესებულებაში ხდება დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობა პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში. შესაბამისად, გაუგებარია მოცემული რეკომენდაციის არსებობა დასკვნაში. მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ფაკულტეტის ადმინისტრაცია მუშაობს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებთან მოტივაციის ასამაღლებლად, რათა სწავლა გააგრძელონ ამავე უნივერსიტეტში მაგისტრატურის

საფეხურზე. მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როდესაც დაწესებულებაში წინა მონიტორინგის ექსპერტები იმყოფებოდნენ, მაშინ მსგავსი შინაარსის რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვალა. მისი თქმით, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში აღწერილი სწავლა-სწავლების მეთოდები სრულად და სრულყოფილად გამოიყენება სასწავლო პროცესში. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაციის დასკვნაში არსებობა არარელევანტურია. მერვე რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ პროგრამის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ვებ-გვერდზე პირველივე ჩანართში. გარდა ამისა, თითოეულ ფაკულტეტში არის ჩაშენებული პროგრამის შესახებ ინფორმაცია. მეცხრე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტუდენტები ირჩევენ არასავალდებულო კურსებს. შესაბამისად, გაუგებარია აღნიშნული რეკომენდაციის არსებობა დასკვნაში. მეათე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „OSCES“ შეფასების მეთოდები ვერ იქნება აღწერილი სილაბუსებში. შეფასებების კრიტერიუმები გაწერილია სილაბუსებში, ხოლო თითოეული „OSCES“ სადგურის შეფასების დეტალები კი შესაბამის ჩეკლისტებში. მეთერთმეტე რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ დაწესებულებამ შეასრულა მოცემული რეკომენდაცია. მისი თქმით, სილაბუსებსა და პროგრამებში აღწერილი შეფასების ყველა მეთოდი გამოიყენება კურსებისა და მთლიანად პროგრამის ფარგლებში. პროგრამა ფასდება როგორც მიმდინარეობის, ისე დასრულების პროცესში. მეთორმეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ყურადღებით შეისწავლა მოცემული რეკომენდაციის აღწერილობითი ნაწილი. ქირურგის ასისტირების სილაბუსში ვერ იქნება შეფასება მოცემული იმიტომ, რომ მედიცინის დარგობრივი მახასიათებელი ამას არ ითვალისწინებს. მეცამეტე რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ სტუდენტი ყოველთვის იღებს ინდივიდუალურ უკუკავშირს შეფასების ყველა ეტაპზე. მეთოთხმეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კრიტიკულად ფასდება სწავლის შედეგების ანალიზის მონაცემები უნივერსიტეტში. გარდა ამისა, დაწესებულებაში დაიგეგმა გაუმჯობესების სტრატეგიები. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულება არ ალამაზებს ინფორმაციას და ყოველთვის სიმართლეს ამბობს. შესაბამისად, უნივერსიტეტი ამუშავებს რეალურ ინფორმაციას და თუ საჭირო გახდა, გააუმჯობესებს კიდეც მას.

მეთხუთმეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტში პორტფოლიო და პორტფოლიოს შეფასების მეთოდოლოგია შემუშავებულია 2022 წელს, რომელიც ჩაშენებულია ელექტრონულ მართვის სისტემაში. შესაბამისად, 2022 და 2023 წლებში ჩარიცხული სტუდენტები ფლობენ სრულ ინფორმაციას თავიანთი შეფასებების შესახებ.

მანანა ცერცვაძემ მეთექვსმეტე რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის იურისტი და ფაკულტეტების დეკანები უკვე ატარებენ დამატებით საკონსულტაციო შეხვედრებს სტუდენტებთან განახლებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე. მეჩვიდმეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულება იზიარებს მოცემულ რეკომენდაციას. მეთვრამეტე რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში გამოცდებამდე ტარდება კონსულტაცია აპელაციის პროცედურების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია უკვე შესრულებულია. მეცხრამეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტში პორტფოლიო და პორტფოლიოს შეფასების მეთოდოლოგია შემუშავებულია 2022 წელს, რომელიც ჩაშენებულია ელექტრონულ მართვის სისტემაში. დაწესებულება სამაგისტრო და სამეცნიერო ნაშრომებისთვის იყენებს პლაგიატის პროგრამას სახელწოდებით „Copyleack”. აკადემიური წერის სილაბუსში მერვე კვირას გაწერილია პედაგოგის მიერ სტუდენტისათვის ტექსტური დავალების მიცემა. შესრულებული დავალება გაივლის პლაგიატის პროგრამას. მეცხრე კვირას პედაგოგი ინდივიდუალურად სტუდენტთა ერთად განიხილავს როგორც თავის ნაშრომს, ისე პლაგიატის სისტემის მუშაობის სპეციფიკას. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დაწესებულება წერითი ნაშრომების შემოწმების მიზნით იყენებს Google Classroom-ს, სადაც ლექტორების მიერ ხორციელდება მიზნობრივ საგნებში წერითი ნაშრომების პლაგიატზე გადამოწმება. მეოცე

რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა სერვის ცენტრი, რომლის ფუნქციაა განახორციელოს სტუდენტთა (მათ შორის უცხოელ სტუდენტთა) ინფორმირება და გაუწიოს კონსულტაცია აკადემიურ, ადმინისტრაციულ და საყოფაცხოვრებო საკითხებზე. შესაბამისად, დაწესებულება არ თვლის საჭიროდ ცალკე პერსონალის დამატებას ამ მიმართულებით.
ოცდამეერთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს სტუდენტთა ინფორმირებას პარტნიორ კლინიკებში შესაძლო სტაჟირების შესახებ. მიმდინარე წლის ივლის-აგვისტოს თვეებში დაგეგმილია სტუდენტთა სტაჟირება დაწესებულების აფილირებულ კლინიკაში - „რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში“. ოცდამეორე რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ დაწესებულების ვებ-გვერდზე კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევა დეტალურად არის მოცემული კურსდამთავრებულთა სტატისტიკის დოკუმენტის სახით. ოცდამესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ განახლდა ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია საერთაშორისო პროექტების, სტიპენდიატთა სიისა და დამსაქმებელთა ბაზის შესახებ. მანანა ცერცვაძის თქმით, ოცდამეოთხე რეკომენდაცია იმეორებს მეორე რეკომენდაციის შინაარსს. მან აღნიშნა, რომ 2024 წლის მაისში გამოცხადებული იქნა კონკურსები Erasmus+ მიერ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, შეუსაბამო იყო თუ არა აკადემიური პერსონალის რაოდენობა და შემადგენლობა სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიასთან.
ექსპერტმა ლევან ცაგარელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტ ია ნაცვლიშვილს დეტალურად ეწერა ყველაფერი დასკვნაში. მისი თქმით, ამჟამად აკადემიური პერსონალის რაოდენობა და შემადგენლობა სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიასთან შეუსაბამოა. სერგო ჭელიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში მეცხრე რეკომენდაცია შემდეგი ფორმულირებით იყო მოცემული: „რეკომენდებულია, სტუდენტებს რეალურად ეძლეოდეთ არასავალდებულო კურსების არჩევისა და შესწავლის შესაძლებლობა.“ მას აინტერესებდა, გაიცა თუ არა აღნიშნული რეკომენდაცია სტუდენტებთან გასაუბრების საფუძველზე.
ექსპერტმა ლევან ცაგარელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ძირითად წყაროს წარმოადგენდნენ სტუდენტები, პროფესორები, კურსდამთავრებულები და ადმინისტრაციის თანამშრომლები. შესაბამისად, რეკომენდაციები გაიცა აღნიშნულ პირებთან გასაუბრების საფუძველზე. მისი თქმით, სტუდენტებს ექსპერტებმა ჰკითხეს თუ რა სასწავლო კურსები ჰქონდათ არჩეული არჩევითი საგნების ბლოკიდან ბოლო სემესტრში, თუმცა მათ ამ შეკითხვაზე ვერ უპასუხეს. ასევე მათ არ იცოდნენ არჩევითი საგნების სპეციფიკა და არჩევის წესი. შესაბამისად, ამან განაპირობა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემა.
საბჭოს წევრმა, დავით ლეშკაშელმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, არიან თუ არა ჩართული სტუდენტები უნივერსიტეტის მართვის პროცესში.
ექსპერტმა შოთა სილაგაძემ აღნიშნა, რომ სტუდენტები ფლობდნენ ინფორმაციას საუნივერსიტეტო პროცესში გადაწყვეტილებების მიღების შესახებ, თუმცა ნაკლები ინფორმაცია ჰქონდათ ამ პროცესში ჩართვის და სხვა პროცედურების შესახებ.
ექსპერტმა ია ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ ერთ აკადემიურ პერსონალზე გათვალისწინებულია ათი სტუდენტი. ექსპერტებს ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ, თუმცა დაწესებულების მეთოდოლოგიაში ეწერა, რომ ერთ ასისტენტ პროფესორზე გათვალისწინებულია არაუმეტეს ოცდახუთი სტუდენტი. სწორედ ეს წარმოადგენდა პრობლემას. უნივერსიტეტმა ან მეთოდოლოგია უნდა დაიცვას ან საერთოდ ამოიღოს ასეთი ჩანაწერი. დაწესებულებაში ფაკულტეტის დონეზე აკადემიური პერსონალის ჩართულობა მმართველობით გადაწყვეტილებებში უზრუნველყოფილია. მან აღნიშნა, რომ აკადემიური

საბჭოს წევრები არიან სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელი კი არ ირჩევა, არამედ ინიშნება. შესაბამისად, ეს იმას ნიშნავს, რომ საუნივერსიტეტო დონეზე აკადემიურ პერსონალს არჩევითი წარმომადგენელი არ ჰყავს. ამრიგად, უნივერსიტეტმა ამ მიმართულებით უნდა იმუშაოს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა ცერცვაძემ განაცხადა, რომ ოცდახუთ სტუდენტზე გათვალისწინებული უნდა იყოს ერთი აკადემიური პერსონალი, რათა სტუდენტი უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კონსულტაციებით. ამჟამად ათ სტუდენტზეა გათვლილი ერთი აკადემიური პერსონალი. უნივერსიტეტი არ თვლის საჭიროდ ასისტენტ-პროფესორების რაოდენობის გაზრდას იმიტომ, რომ დაწესებულებაში მათ რაოდენობა საკმარისია. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არის კერძო სამართლის იურიდიული პირი. ასეთი იურიდიული პირები გათავისუფლებული არიან ისეთი სტრუქტურის მოწყობისაგან, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ახასიათებს. შესაბამისად, ამ ეტაპზე არ დგას სტრუქტურის გადახედვის საჭიროება. დაწესებულებას აქვს მრავალფეროვანი არჩევითი კურსები ყველა პროგრამაზე, რომლებსაც სტუდენტები დამოუკიდებლად ირჩევენ.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება
დაწყების დრო: 16:50
დასრულების დრო: 16:55

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების არაგეგმური მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორებლად 60 დღის ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მ ო მ ხ რ ე : 1 4
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის პირველი, მეორე და 21-ე პუნქტების შესაბამისად, შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედს განესაზღვროს არაუმეტეს 60 დღის ვადა გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად.

საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული რეკომენდაციები და შეფასება.

დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის ჩართულობა უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში და მართვის პროცესში, საჭიროა უმაღლეს მმართველობით ორგანოში აკადემიური პერსონალის არჩევითი წარმომადგენლების ჩართვა.
2. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაზარდოს ინფორმირებულობა საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ, ასევე უზრუნველყოს სტუდენტებისა და პერსონალისთვის მეტი შესაძლებლობები გაცვლით პროგრამებში და ერთობლივ

კვლევებში მონაწილეობისთვის, ასევე, ხელი შეუწყოს სტუდენტებსა და პერსონალს შორის მსგავსი შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელებას.

3. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების მექანიზმები.
4. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში ასისტენ-პროფესორების/ასისტენტების წილის ზრდა, რათა აკადემიური პერსონალის რაოდენობა და შემადგენლობა შეესაბამებოდეს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიას.
5. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ხელი შეუწყოს ყველა დაინტერესებული მხარის აქტიურ ჩართულობას პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში.
6. რეკომენდებულია, დაიხვეწოს სასწავლო პროგრამები იმგვარად, რომ ისინი მეტად სასურველი გახდნენ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთათვის, რაც გათვალისწინებულია სტრატეგიული გეგმით.
7. რეკომენდებულია, პროგრამების შესახებ ინფორმაცია ვებ-გვერდზე იყოს ღიად ხელმისაწვდომი.
8. რეკომენდებულია, სტუდენტებს რეალურად ეძლეოდეთ არასავალდებულო კურსების არჩევისა და შესწავლის შესაძლებლობა.
9. რეკომენდებულია, სტუდენტების კლინიკური აქტივობები იყოს შეფასებული, თუ ეს წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილს.
10. რეკომენდებულია, სტუდენტი იღებდეს ინდივიდუალურ უკუკავშირს შეფასების ყველა ეტაპზე.
11. რეკომენდებულია, სტუდენტები ჩართულები იყვნენ პორტფოლიოს წარმოებაში და იცნობდნენ თავიანთ შეფასებას.
12. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ჩაატაროს დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრები სტუდენტებისთვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების გაცნობის მიზნით.
13. რეკომენდებულია, სტუდენტსა და უსდ-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში პუნქტი 2.2.10 (ქართულენოვანი), 2.2.8 (ინგლისურენოვანი) გადავიდეს სტუდენტთა ვალდებულებების ჩამონათვლიდან სტუდენტთა უფლებების ჩამონათვალში.
14. რეკომენდებულია, ჩატარდეს სტუდენტებთან დამატებითი კონსულტაცია აპელაციის პროცედურების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.
15. რეკომენდებულია, გაიზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობა პორტფოლიოსა და ანტიპლაგიატის პროგრამის შესახებ.
16. რეკომენდებულია, უსდ-მ გამოყოს უცხოელი სტუდენტებისთვის ცალკე პერსონალი/კადრი, რომელიც კოორდინირებას გაუწევს მათ საუნივერსიტეტო გარემოში წარმოქმნილი პრობლემების შემთხვევაში (როგორც ადგილზე, ისე დისტანციურად) და დაეხმარება მათ შესაბამის სამსახურებთან კომუნიკაციაში. ამასთან აუცილებელია, ასეთი თანამდებობის შემოღების შემთხვევაში, სტუდენტები ინფორმირებულობა ამგვარი სერვისის ხელმისაწვდომობის შესახებ დროულად და სრულად იყოს უზრუნველყოფილი.
17. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შექმნას სტუდენტთა CV ბანკი, გაზარდოს პოტენციური დამსაქმებლების რაოდენობა, აკონტროლოს მიღებული ვაკანსიების რელევანტურობა და სტუდენტების კვალიფიკაციებს და დამსაქმებლის მოთხოვნას შორის თანხვედრა ვაკანსიების შეთავაზებისას.
18. რეკომენდებულია, ჩატარდეს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ უფრო დეტალური კვლევა.

რჩევები :

1. სასურველია ეთიკის ნორმების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და აკადემიური თავისუფლების შესახებ ინფორმირებულობის ხარისხის გაუმჯობესება.
2. სასურველია, აკადემიური საბჭოს არსებული სტრუქტურის ფონზე მეტი როლი მიენიჭოს საფაკულტეტო საბჭოებს პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების პროცესში.
3. სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის მიზეზების კვლევა და მისი ანალიზი.
4. სასურველია, სწავლის ელექტრონულ სისტემაში ჩაშენდეს სტუდენტის შეფასების გასაჩივრების ფორმა.

საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2024 წლის 30 ივლისს, 17:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა